№ 180 სექტემბერი 1, სამშაბათი | 1887 | სექტემბერი 1, სამშაბათი № 180

ტფილისი


| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 5 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877—1887 წელიწადი


ტფილისი, 31 აგვისტო

რამდენიმე წერილი ჩვენ მოვანდომეთ იმასა, რომ დაგვესურათებინა მკითხველისათვის ზოგიერთი არა-სანუგეშო მხარე ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენ შევეხენით, მაგალითად, ჩვენის ყმაწვილ-კაცობის უაზრო, უსაგნო ცხოვრებას, იმ ცხოვრებას, რომელიც ჰკლავს, სჩაგრავს ადამიანის სულსა და ხორცსა, პირ-ქვე ამხობს იმის ყოფა-ცხოვრებას და უნაყოფოდ ჰფლანგავს იმის სარჩო-საბადებელს. ჩვენ აღვნიშნეთ აგრეთვე სულიერი და ზნეობითი სიღატაკე ეგრედ წოდებულის ინტელიგენციისა რომელიც თვისის გულ-გრილობით, დაუდევრობით, უზრუნველობით სჩაგრავს ყოველს კეთილს საქმეს, ყოველს კეთილს განზრახვას და მით ვერ ასრულებს ვერც ერთს თავის მოვალეობას საზოგადოების წინაშე. ის სურათები, რომელნიც ჩვენ წინა წერილებში გამოვხატეთ, მეტად სამწუხარო და უნუგეშო არიან, და იმედი გვაქვს, რომ მკითხველი ჩვენს აზრს დაეთანხმება, თუ რომ მართლა პირ-უთვნელად ჩაუკვირდა ცხოვრებას. ჩვენდა სამწუხაროდ, ცხოვრების სურათი იმ წერილებში ჩვენ არ დაგვიმთავრებია და რაც მეტს თვალს ვადევნებთ, ვუკვირდებით ამ ცხოვრებას, მით უფრო მომეტებულს ნაკლულევანებას ვპოულობთ...

თან-და-თან საზოგადოების და მწერლობის ყურადღებას იზიდავს ისეთი რამ გარემოება, რომელიც ნათლად გვაჩვენებს, თუ სად უნდა ვეძიოთ მიზეზი ცხოვრების ნაკლულევანებათა. ყური დაუგდეთ იმასა, თუ რაზე ლაპარაკობს დღეს თვითოეული ჩვენგანი, რასა სწერენ გაზეთები, როგორს მოძრაობაში არიან პოლიცია, სასამართლოები, გამომძიებლები. ჩვენ ვამბობთ იმაზე, რომ ამ უკანასკნელს ხანებში მეტად გავრცელდა ყოველ გვარი ავ-კაცობა: მუდმივ გვესმის, რომ ესა და ეს კაცი მოჰკლეს, დასჭრეს, გაცარცვეს, და სხვ. შუადღისას ქუთაისის მახლობლად მოჰხდა მეტად გაბედული ავაზაკობა: გაცარცვეს ვაგონში ქ—ი ლიმბერგერისა; გასტეხეს და გაცარცვეს შემნახველ-გამსესხებელი კასსა ქუთაისის გიმნაზიისა, ცხინვალში მოჰკლეს ორი ებრაელი, დასჭრეს იმათი ცოლები, მოჰკლეს ორი დედაკაცი სოფ. აღის მახლობლად, გაცარცვეს ორი იტალიელი და ორი იმერელიც, დასჭრეს და გაცარცვეს ერთი რაჭველი, ერთს დღეობაზე ერთი ვინმე თავადი გამოდის ხალხში და ხანჯლით თავს აგდებინებს ერთს გლეხ-კაცს. ქართლიდამ თითქმის ყოველ დღე იმას იწერებიან, რომ ავაზაკებმა აიკლეს თითქმის მთელი გორის მაზრა, რომ ერთმა გუნდმა ავაზაკებისამ დიდს საშიშროებაში ჩააგდო მცხოვრებნი და სხვ. ჩვენ თვალ-წინა გვაქვს რამდენიმე №-რი „Кутаисскія Вѣдомости"-სა და ვკითხულობთ დაუსრულებელს სიას ცარცვა-გლეჯისას, ძალ-მომრეობისას, მკვლელობისას, ჭრილობისას, ქურდობისას, მტაცებლობისას, ესე იგი ყოველ გვარის ბოროტ-მოქმედებისას, ავ-კაცობისას.

ვკითხულობთ ამ სიას და ვკვირვობთ, თუ რამდენი მძიმე დანაშაულობა ჩაუდენიათ ხელის გულის ოდენა სივრცეზე და მცირე ოდენის დროს განმავალობაში.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენ აღვნიშნეთ ფრიად სამწუხარო გარემოება ჩვენის ცხოვრებისა, ისეთი გარემოება, რომელიც ღირსია დიდის ყურადღებისა, რადგანაც იგი გარემოება შეეხება ისეთს ძვირფასს საუნჯეს ადამიანისას, როგორნიც არიან სიცოცხლე და ქონება. ის გარემოება-კი, თუ რამდენად პატივცემულია საზოგადოებაში ადამიანის სიცოცხლე და ქონება, იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ავად ან კარგად მსვლელობს იმ საზოგადოების ცხოვრება. დანაშაულობათა რაოდენობა გვიჩვენებს, რომ საზოგადო აგებულებაში რაღაც დიდი ნაკლია, მძიმე სენია, რომელიც დრღნის იმ აგებულებას, რომ ცხოვრება ვერ მსვლელობს ზომიერად და ნორმალურად; იმასაც გვიჩვენებს, რომ ცხოვრების სხვა-და-სხვა მდინარეობანი ვერ სწარმოებენ ჰარმონიულად, ესე იგი იმ გვარად, რომ ერთი-ერთმანერთს ეწეოდნენ და ხელს არ უშლიდნენ.

ა. ნა—ლი

---

ბოლგარიის საქმის დასასრული, როგორც სჩანს, ჯერ კიდევ არ მოახლოვებულა. სამი კვირა იქნება მას აქედ, რაც რუსეთმა ცირკულიარით საქვეყნოდ აღიარა, რომ იგი არა სცნობს პრინცს კობურგისას განონიერ მთავრად. რასაკვირველია, ამ გვარს აზრს რუსეთისას მთელმა ევროპამ ყურადღება მიაქცია, და მას აქედ კიდევ უფრო გახშირდა სადიპლომატო მიწერ-მოწერა, მაგრამ ბოლგარიის საქმე როდის და რითი დასრულდება, არავინ იცის. ის ხმა, ვითომ რუსეთი და ოსმალეთი თავიანთ წარმომადგენელთა გაგზავნას აპირობენ ბოლგარიაში, როგორც გაზეთები იუწყებიან, საეჭვოა, რადგანაც ოფიციალურად დღემდის არა გამოუცხადებიათ-რა. აგრეთვე შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთი მშვიდობიანობას არ დაარღვევს და ძალ-მომრეობას არ მიიტანს ბოლგარიაზე, რომ ოსმალეთი ვერას-გზით ხელ-და-ხელ ვერ ჩაერევა ამ საქმეში. არც სახელმწიფოთა უმეტესობა იგისრებს ბოლგარიისა და იმის მთავრის აღაგმვასა. მაგრამ სახელმწიფონი იმ აზრისანი არიან, რომ პრინცმა ფერდინანდმა დაარღვია ბერლინის ტრაქტატი და მაშასადამე საჭიროა ტრაქტატი აღდგენილ იქმნასო. თუმცა ასე სჯიან და ლაპარაკობენ, მაინც არც ერთი მათგანი გულ-და-გულ არა სცდილობს, რომ ტრაქტატს გამოესარჩლოს.

მაშ რა საშუალებით შეიძლება ამ საქმის დაბოლოვება? გაძნელდა და დაიხლართა თუ არა ბოლგარიის საქმე, ბისმარკმა განიზრახა ამ საქმეში ჩარევა და რუსეთისათვის სამსახურის გაწევა. რუსეთის გაზეთები დიდის ეჭვით შეჰყურებენ საზოგადოდ ბისმარკის მეგობრობას და განსაკუთრებით მის მომხრეობას ბოლგარიის საქმეში. მით უფრო საეჭვოდ მიაჩნიათ ბისმარკის საქციელი, რომ გერმანიასა და ავსტრიას შორის იგივე ძმური განწყობილება არსებობს, რომ გერმანიის პოლიტიკა ვერ უღალატებს ავსტრიისას ბალკანის ნახევარ-კუნძულზე. გერმანიის პოლიტიკა ვერასოდეს ვერ შეიწყნარებს იმას, რომ ავსტრიის გავლენას ბოლო მოეღოს სლავიანთა ქვეყნებში.

ამიტომაც ნება გვაქვს ვიკითხოთ, თუ რამდენად გულ-წრფელად მოქმედებს ბისმარკი? სხვა-და-სხვა გარემოება გვეუბნება, რომ იგი ამ შემთხვევაშიაც მხოლოდ გერმანიის ინტერესებს მისდევს. როგორ უყურებს რუსეთი ბისმარკის განზრახვას და მიიღებს თუ არა იმის სამსახურს, ეს ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

ა. ს—ი

---

## ახალი ამბავი

*** ტფილისის სამოსწავლო ინსტიტუტის პირველ კლასში ყოფილა სულ 14 ვაკანსია და მთხოვნელთა რიცხვი-კი 86-ამდე. საზოგადოდ, ძალიან დიდს გაჭირებაში არიან სწავლის მოსურნენი უადგილობის გამო.

*** რუსულ ოპერის პირველ წარმოდგენისათვის იმოდენა ხალხი მიაწყდა თეატრს, რომ ხუთი-ექვსის დღის წინ გასაყიდი ბილეთები აღარ იყო კასაში და ამიტომ მსურველთ მეორე წარმოდგენისათვის აიღეს ბილეთები.

*** სოფ. გრდანიდამ ბ-ნი ე. ხ—ლი გვწერს: სოფელი გრდანი მდებარეობს ტფილისის მახლობლად, აქედამ სულ ნახევარ საათის სავალზედ, და შეიცავს ასამდე კომლ მცხოვრებელს. ამათში ოთხმოცი კომლი ითვლება ქართველობა, დანარჩენი-კი სომხები არიან, რომელთაც დაუვიწყნიათ თავიანთი ენა, ზნე და ჩვეულება, შერჩენიათ მხოლოდ რჯული, ასე რომ დროთა ვითარების გამო თითქმის სრულიად გაქართველებულან.

თუმცა გრდანის მკვიდრნი კარგად შეძლებულნი არიან, მაგრამ, საუბედუროდ ამ სოფელში დღემდის არ არსებობს პირველ-დაწყებითი სასოფლო სკოლა. გრდანი ტფილისზე ახლოა და მცხოვრებელნიც შეძლებულნი არიან, მაგრამ აქაურები არც ტფილისსა გზავნიან ყმაწვილებს სასწავლებლად. ეს მით უფრო გასაკვირველია, რომ უფრო მიყრუებულნი და ღარიბი სოფლებიც-კი მართავენ ხოლმე სკოლებს.

ჩვენის აზრით, გრდანი შენახვითაც კარგად შეინახავს სკოლას, იქაურებს სწავლის სურვილიცა აქვთ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ გრდანს სკოლა არა აქვს, ჩვენი მომაკვდინებელი უთაურობაა. საჭიროა, ვინმემ ითავოს ეს საქმე და წინ გაუძღვეს გრდანელებს...

*** თელავიდამ გვწერენ: კვირას, აგვისტოს 23-ს, ტფილისის ქართულ დრამატიულ დასის არტისტებმა სცენის მოყვარეთა დახმარებით გაჰმართეს თელავის საზოგადო კლუბის დარბაზში ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ხუთ. მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების თანამოგზაური", რუსულიდგან გადმოკეთებული ა. მ. მოჩხუბარიძისაგან. წარმოდგენამ იმდენი ხალხი მიიზიდა, რომ თეატრის დარბაზი ძალზედ გაიჭედა. შემოსავალი, როგორც გამგეებმა გადმოგვცეს, თერამეტ-ცხრამეტ თუმანს თუ არ აღემატება, ნაკლები არ იქმნება. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი მ. საფაროვი-აბაშიძისა, ქ. ანდრონიკაშვილისა, ბ-ნი ა. მოხევე და დ. აწყურელი. აგრეთვე ყურადღება მიიქცია ახალმა მოთამაშემ ვ. გამყრელიძემ.

ძალიან კარგს საქმეს მოიმოქმედებენ და მადლობის ღირსნი იქნებიან თელავში მყოფნი ქართულის დრამატიულ დასის წევრნი, რომ ერთს წარმოდგენას საქველ-მოქმედო საქმისათვის გამართავდნენ, აი თუნდა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" დასახმარებლად, სადმე შესაფერს დროსა და ადგილას: კარგი იქმნება, წარმოდგენა გამართონ 14-ს ენკენისთვეს, ალავერდობის დღეობას, რომელსაც თითქმის მთელი კახეთი მიაწყდება ხოლმე.

*** გორის მაზრიდამ: ამას წინაზე სოფ. ფხვენისში ერთი საშინელი უბედურობა მომხდარა. რამდენიმე ყაჩაღი შევარდნილა სოფელში, დამსულან ერთის გლეხის სახლში, სადაც არავინ არ დახვედრიათ შინა ერთის ქალის მეტი, რომელიც დაყრდნობილი იყო აკვანზე და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. შესვლის უმალვე მისცვივნიან ამ ქალსა, ერთს მათგანს ამოუღია ხანჯალი და დაურტყამს მხარში. ხანჯლის წვერს გაურბენია ძუძუში და ჩარჭობია ბავშვსაც; ამ გვარად თურმე საწყალი დედა დააკლეს თავის უსუსურ ბავშვსა. ამ ავაზაკობის შემდეგ გამოცვივდნენ გარედ და გასწიეს თავიანთ გზაზე

*** იმავე მაზრიდამ: გერისთობის მესამე დღეს რამდენიმე მლოცველნი ურმებით მოდენილან ატოცისაკენ. როდესაც გასცილებიან ატოცსა, შესულან ტყეში. ეს ტყე მაგრე რიგად დიდი და დაბურული არ არის, მაგრამ მაინც შიგ მოსიარულეს დიდი სიფრთხილე უნდა ჰქონდეს, რადგანაც ხალხი ამ ტყეს სთვლის საშიშარ და საავაზაკო ბუდედ. შესვლის უმალვე ურმიანებს დახვედრიათ რამდენიმე ყაჩაღი, რომლებიც ელვასავით დასხმიან თავზე. მივარდნიან ქალებს და თურმე უნდათ ძალაობით წაიყვანონ ტყეში. აქ, რასაკვირველია, ისინი გაჭირვეულებულან, არ დათანხმებულან იმათ მტარვალურსა და პირუტყვულს წადილზე. ქალებს წაჰსარჩლებიან თავიანთ ქმრები. ატეხილა ერთი ყვირილი და თოფის ჭექა-ქუხილი. ავაზაკებს დიდი ხანი აღარ დაუყოვნებიათ, უძვრიათ ხანჯლები და დაჰრევიან, როგორც მგელი ცხვრებსა. მოუკლავთ სამი ქალი და მძიმედ დაუჭრიათ სამი ბავშვი.

კიდევ ბევრი სხვა-და-სხვა უბედურებანი ხდება ამ ჩვენ გორის მაზრის სოფლებში. ერთის სიტყვით, ისეთ შიშში არიან მთელი ახლო-მახლო სოფლები: კარალეთი, ფხვენისი, დირბი, ატოცი, ცხინვალი, რუისი, რომ როგორც-კი მობინდდება, არ შეუძლიანთ ქალსა თუ კაცს კარში გამოსვლა. ასე გასინჯეთ, ბევრი დღისით უთიბავს საქონელს ბალახსა, რადგანაც ღამე ეშინიანთ საძოვარზე გაიყვანონ; ღამის მეხრეები ხომ დღის მეხრეებად გადიქცნენ.

*** დაბა ოჩამჩირედამ: გალიზგის მდინარეზედ თავად კიაღუს ემუხვარმა გააკეთებინა ნავი ხალხის გასაყვან-გამოსაყვანად უფულოდ, მინამ ხიდი გაკეთდებოდეს ამ მოხსენებულ მდინარეზედ. ახლა-კი იმედია, რომ აფხაზეთის სოფლებთან ისევ დაიწყობა მისვლა-მოსვლა.

*** იქიდამვე: აქაურმა აზნაურიშვილმა, თემურაზ ჩაჩავამ, შესწირა ცხრაას სამოც-და-შვიდი მანეთი ოჩამჩირის სკოლას.

*** ამავე პატიოსანს და მართლა კეთილშობილს პირს განუზრახავს, რომ ასი ბავშვის საჯდომი სკამი და წიგნების მაგიდა (სტოლი) თავის ხარჯზედ გააკეთოს. სწავლა დაიწყობა პირველ სექტემბრიდგან. სკოლაში იქნება ასი ბავშვი.

*** აფხაზეთიდამ: ორმა აფხაზმა 20 აგვისტოს მოუტანეს ბატონს ა. შერვაშიძეს სამი ნატეხი ქვა. გასინჯვისა და გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი იყო ნახშირის ქვა, მეორე ტყვიის მადნისა და მესამე უნდა იყოს ვერცხლისა. როგორც ამბობენ, პირველი არის 40 ვერსზედ დაბა ოჩამჩირიდგან და უჭირავს სამი ქცევა ადგილი, მეორე მადანი—37 ვერსზედ, ხოლო მესამე მადანი—75 ვერსზედაო. ბ-ნს ა. შერვაშიძეს განუზრახავს წასვლა, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს, სადაც ეს მადნები აღმოჩენილა. ეს მადნები, როგორც ამბობენ, სახელმწიფო ადგილებში არისო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ზემო-ქართლი** (სოფ. კოდა). ღამის თერთმეტი საათი იყო, აღმოსავლეთის ქარი საშინელის ძალითა გრიალებდა და ამისათვის მე ჩემს ოთახში, კარებ ჩაკეტილში, ვიჯექ და ლამპარის წინ რაღასაცა ვსწერდი. მთელ ჩემს ოჯახს ტკბილის ძილით ეძინა. სახლში სრული სიჩუმე იყო, მხოლოდ ბუხარზედ საათს გაუდიოდა რაკა-რუკი. უცებ მომესმა: წყალი, წყალი, ბიჭებო, ჩქარა აქეთ. მე საჩქაროდ გავარდი გარედ და ჩვენის სადგურის მახლობლად ერთის კაცის ბანზედ დავინახე რამდენიმე კაცი და დედაკაცი. ისინი ბარებით და ნიჩბებით აქრობდნენ მცირეოდენ ცეცხლსა, რომელიც მოკიდებული ჰქონდა ხის სამცხვარის შესავალ კარებს და მის ზემოდამ კედელს და გასაყარ ხის თავებს. მე ცეცხლის მიზეზი ვიკითხე და იმათ დაუყოვნებლივ მიპასუხეს: ვიღამაც გვიღალატაო, და თავის ეჭვიანობის მიზეზი იმითი ამიხსნეს, რომ ცეცხლი მოკიდებული იყო კარების ჩარჩოს შუა წელიდგან, საიდამაც მოსდებოდა შენობის ზემო ნახევარ კედელს და ჭერის ხეებს. განგებ რომ არა ყოფილიყო ცეცხლი გაჩენილი, მაშინ მოკიდებული იქნებოდა ძირიდგან და არა შუა წელიდგანაო.

ეს ცეცხლი ნახევარ საათის განმავალობაში ჩააქრეს ამ სახლის პატრონებმა და იმათ სახლი-კაცმა; სხვას სოფელში არავის გაუგია. ჩვენც ის იყო, უნდა დავბრუნებულიყავით შინისაკენ, რომ ამ დროს ერთი საშინლად განათდა არე-მარე და ის თქვენმა დამაწყევარმა დაინახოს, რაც ჩვენმა თვალმა დაინახა: თხუთმეტის საქენის სიშორეზედ ცეცხლ-მოკიდებულის სახლიდგან, ბზით გატენილის საბძლის ბოლოდგან, ამოვარდა საშინელი, ძლიერი და გველივით დაკლაკნილი ალი და თვალის დახამხამებამდინ მთლად მოედო ჩალით და სიმინდის ფუჩჩით წახურულს წნელით მოწნულ საბძელს. პირველმა ძალუმმა ქარის დაბერვამ მოიტაცა ამ საბძლიდგან მოკიდებული ჩალის კონა და გადიტანა მეორე საბძელზედ, მეორედგან მესამეზედ და სამის წამის განმავლობაში ძლიერი ცეცხლი ეკიდა რვა საბძელს, სამს ხისას და ხუთს წკნელისას; საბძლებს მიუმატეთ ძნა, ბულული და თივა, რომლებიც ჩვეულებრივ საბძლების გვერდს უდგას გლეხ-კაცს, და წარმოიდგინეთ ეს საშინელი სურათი. ორასის საქენის სიგრძეზე აღმოსავლეთიდგან, საიდგანაც ცეცხლი გაჩნდა და ძლიერი ქარი მოჰქროდა, დასავლეთისაკენ ერთი გაბმული, ზედი-ზედ მოკიდებული ცეცხლი ენთო და მისი ცხოველი ალი ზეცამდის ადიოდა და ანათებდა მთელს მტკვრის ხეობას, ქვიშხეთიდამ დაწყებული გორამდის.

გამხმარ მუხის ხეებს გაუდიოდათ ლაწა-ლუწი, ინგრეოდა საბძლების ჭერი და გრიალით ეცემოდა საზამთროდ გატენილ ბზეებს. შესაზარი და გულის გამგმირავი დასანახავი იყო ეს ჯოჯოხეთის მგზავსი სურათი. ამას დაუმატეთ შეშინებულისსაქონლის ბღავილი, ძაღლების წკმუილი, ბავშვების და დედაკაცების წივილ-კივილი, მამაკაცების თავში ცემა, წვერულვაშის გლეჯა და დაიჯერებთ, რომ ქვის გულიც ვაებით აივსებოდა ამ შემაძრწუნებელის სურათის დანახვით.

ქარი თითქო ჯიბრზედ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, კალოებზედ გლეხებს ყველას დიდ-ძალი ნალეწი ხვავები ეყარათ; მთელი სამი-ოთხი დღე ისეთი საშინელი ქარი იყო, რომ განიავება ვერ გაებედნათ და ამ უზარმაზარ ხვავებს მოედო ცეცხლი, აქედგან გადავიდა კალოს სიმეებზედ, რომლებიც აქ ყველას დიდრონის ხის ნახეთქებითა აქვს შემოღობილი. ერთი ნაბიჯიც კიდევ, და ცეცხლი მიეცემოდა სოფლის შენობებს (ზოგიერთა სახლების ყავრული ისე იყო გახურებული, რომ წყლის დასხმაზედ ოშხივარი ასდიოდა), მაგრამ ამ დროს ქარმა, თითქო რაღაცა მანქანებით, ოდნავ მხარი მიიბრუნა და სოფელი გადარჩა უვნებლად.

თორმეტი წელიწადია არა ეყოფილვარ ზემო-ქართლში დაეხლა, როდესაც აქ მოველ, გულმა გაიხარა, რომ უწინდელ მიწურების მაგივრად მშვენიერი ხის ოთახები, ლამაზ ბალკონებით, დაყავრულის ბანებით და შუშიანის ფანჯრებით, დამხვდა. მაგრამ როცა ცეცხლი გაჩნდა და წარმოვიდგინე ამ ცეცხლის მასალის აპრიალება, დავწყევლე გულით ის დღე, როდესაც ჩვენმა გლეხმა პირველად ხის შენობის აგება დაიწყო. წარმოიდგინეთ ხელის ოდენა ალაგზედ (აქ მიწის სიძვირის გამო გლეხები ძლიერ ვიწროდა სდგანან) უგზო-უკვლოდ, ზედი-ზედ მიშენებული ხის სახლი, ხის ბოსელი, ხის ძარი, ხის ბეღელი, საღორე, სამცხვარე, ბაკი, წნელით მოწნული და ზემოდგან ძეძვით შემოღებული, და იფიქრეთ, თუ რა მოელის გლეხ-კაცს ცეცხლის გაჩენის დროს. ამასთან არავითარი ცოდნა იმისი, თუ როგორ მოიქცეს ცეცხლის გაჩენის დროს, რომ ჩქარა მოსპოს და მთლად თავისი ქონება ცეცხლის მსხვერპლად არ გახადოს.

„თხრილები გათხარეთ, მიწა მიაყარეთ ცეცხლს, ღობები დაგლიჯეთ, ცეცხლს გზა შეუკარით“, ბავშვებივით ვერეკებოდით მე და ჩემი რძალი, გულ-დახეთქილებს და შიშისაგან პირ-დაღებულა გლეხებს.

სოფელი კოდა, სადაც ეს ცეცხლი გაჩნდა, მდებარეობს რკინის გზის სადგურიდგან „გომი“ სამს ვერსზედ. ამ სადგურში უეჭველია იქნება რამე ცეცხლის საქრობი საშუალება და ნუ თუ შეუძლებელი იყო დახმარებოდნენ სოფელს? თუმცა ორი-სამის სოფლიდგან ხალხი შეიკრიბა, მაგრამ რადგანაც მოთავე არავინ იყო, ხალხი გულ-ხელ-დაკრეფილი იდგა და სეირს უყურებდა ამ მძვინვარე, სოფლის ჩასაყლაპავად პირ-დაღებულ ცეცხლსა.

ზარალი, როგორც პირველ ცნობაშიაც შევატყობინეთ, ხუთას თუმნამდე არის. დაიწვა: რვა საბძელი, ბზით სავსე, ორს ურემზედ მეტი დადგმული ძნა, რვა ურემი თივა, ას კოდზედ მეტი გაუნიავებელი პური, კალოებზედ სათესლედ და სალალედ საბძლებში შენახული სამოც კოდამდე ქერი, უგრეხელი, შვიდი თუ რვა საძნე ურემი, კევრები, უღლები, ფიწლები, არნადები და კიდევ ბევრი წვრილმანი, რომელიც გლეხ-კაცს მუშაობის დროს საბძელში აქვს შენახული. ზოგიერთებს კრუხ-წიწილაცკი იქა ჰყოლიათ მიჩვეული.

პოლიცია მხოლოდ მესამე დღეს, საღამოზე, მოვიდა დამწვარ ალაგას და უბედურების მიზეზი-კინამდვილად-ვერა შეიტყო-რა. გამომძიებელიც იყო მეხუთე მეექვსე დღეს, მაგრამ სოფლის დამწველი ვერ აღმოაჩინა. ბევრზედ ეჭვობენ აქაური გლეხები, მაგრამ გადაწყვეტით ხელი-კი ვერავისზედ დაუდვიათ. ცეცხლი რომ განგებ იყო წაკიდებული, ეს ეჭვს გარეშეა. რამდენმამე პირმა დაინახა, რომ საბძლის მოკიდების შემდეგ სოფელს ზევით გადირბინა შავებში ჩაცმულმა კაცმა, მაგრამ შიშისაგან ისე გონება აერიათ, რომ გამოდგომა ფიქრადაც არავის მოსვლია.

—

აქეთ მხარეს საშინელი შიშიანობაა. ყოველ დღე ახალ-ახალი ამბები მოდის: აქ ეს მოკლეს, იქ ის გაცარცვეს, აქ დედაკაცები დაიტაცესო. გლეხობა სასო-წარკვეთილებას ეძლევა, მინდვრები სავსეა შემოსულის სიმინდით და შიშით ვერ გასულან შემოსატანად. ყველა სოფელში მცხოვრებნი რიგ-რიგად ყარაულობენ ღამე სოფელს, მაგრამ მაინც ვერ აშოშმინებენ შიშით დაფორიაქებულს ცოლ-შვილს.

ნუ თუ საშველი არა აქვს ამ გვარ მდგომარეობას თითქმის მთელის მაზრისას.

ეა. გაბაშვილისა

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამ რამდენისამე წლის წინად სოფელს ქვიშხეთში ერთმა აზნაურის ქვრივმა მიწაში იპოვნა მცელი ვერცხლის ფული და, რასაკვირველია, თავისათვის მიისაკუთრა, და ამ ჟამად იმ ფულის კვალიც დაკარგულია. ამ სამიოდე წლის წინად ჩემმა ბიძაშვილმა ამოთხარა მიწაში მცელი ქართული ჩაწქანი სრულის მოწყობილობით, ე. ი. პერანგი, თავის ჯასასტური პირბადი, სამაჯურები და თათმანები. ეს ჩაჩქანი მე მაქვს ამ ჟამად.

ესლახან, ამ ორის კვირის წინად, ორმა გლეხებმა მაპოვნეს რაღაც განძს და ამ გლეხების სახლისა და გვარისაც ასახელებენ. ერთს ქვითკირის შენობაში არის დატანებული ღვინის ქვევრი. ამ ქვევრში, როგორც მთელი სოფელი ამბობს, იყო რაღაც განძი და სიმდიდრე, რომელიც ამ ჟამად მიუთვისებია ზემოხსენებულ გლეხებს; ხელში-კი ჩავარდა ერთი სპილენძის თასი, რომელიც ამ ქვევრში ეფარა. ამ თასზედ არის ზედ-წარწერა შემდეგი: „ქ. მეფე იასე“. ჩვენ ყველას გვგონია, რომ ეს თასიც და ის განძიც, რომელიც ქვევრში იყო, ეკუთვნოდა ამ მეფე იასეს. მაგრამ ვინ იყო ეს მეფე? ბროსსეს „ქართლის ცხოვრებაში“ ბევრი ვეძებე ამ მეფის სახელი, მაგრამ ვერა ვიპოვე-რა. ეს თასი ეხლა აქვს შენახული ჩემს ბიძაშვილს, მარიამ ყიფიანის ასულს, დავით ქართველიშვილის მეუღლეს, რომელიც აპირობს ამ თასის შეწირვას „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მუზეუმისათვის. ბ-ნს დიმიტრი ბაქრაძეს მივსწერე, მეფე იასეზედ შემატყობინეთ მეთქი რამე ამბავი, მაგრამ ჯერ იმისი პასუხი არ მომსვლია.

კოტე ყიფიანი

28-ს აგვისტო
ს. ქვიშხეთი

## ნარევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბ-ნს პორტუგალოვს პატარა შენიშვნა დაუბეჭდია გაზ. „Новости“-ში იმის თაობაზედ, რომ ევროპის ყველა გამოჩენილნი და სახელ-განთქმულნი კაცნი ღარიბისა და უბრალო გვარის დედ-მამის შვილნი იყვნენო.

ვიღაც ბრძენს უთქვამსო, ამბობს ბ-ნი პორტუგალოვი, რომ თუ რომლისამე ერის ამბავი გინდა შეიტყო, იკითხე, რამდენი სახელოვანი კაცი ჰყავს. ყველაზე მეტი გამოჩენილი კაცები, რასაკვირველია, დასავლეთ ევროპაში უნდა მოვიკითხოთ. საკვირველი ის არის, რომ თითქმის ყველა მათგანი ღარიბის დედ-მამის შვილია.

სწორედ ახირებულია ეს ბუნებაცა იმით, რომ გენიოსობას და დიდს გონებას მიანიჭებს ხოლმე არა შეძლებულსა და დიდის გვარიშვილის კაცს, არამედ ივლის და უოვლად ღარიბს ხალხში-კი დაჰბადებს სახელოვანსა და გამოჩენილსა.

აი, რა დედ-მამის პატრონები ყოფილან შემდეგი სახელ-განთქმულნი კაცნი: კოლუმბი—ფეიქრის შვილი; კოპერნიკი—უბრალო მოქალაქესი; კეპლერი—მედუქნესი; შექსპირი—მხელ-თათმანესი; ნიუტონი—მეტად-ღარიბის დედ-მამისა; გალილეი—მემუსიკესი; დალამბერი ბუში იყო, მამა ვაჭარი ჰყავდა; ლონგრანჟი—სამხედრო ხაზინადრისა; გერშელი—მემუსიკესი; ჟიუსტი—ღარიბის ფეიქრისა; ბენჟამენ ფრანკლინი—ღარიბის დედ-მამისა; ლინნეი—სოფლის მღვდლისა; ჟან-ჟაკ რუსსო—ღარიბის მესაათესი; კიუვიე—სამსახურიდამ გამოსულის აფიცრისა; არისტოტელი—ექიმისა; სოკრატი—მექანდაკესი, სპინოზა—უბრალო ისრაელისა; კანტი—სარაჯისა; ვოლტერი—ნოტარიუსისა; ლესინგი—მღვდლისა; შილლერი—სკოლის ზედამხედველისა, შილლერის დედა მებულკის ქალი ყოფილა; ბერანჟე—ღარიბის თერძისა; ბერნე—საწყალის ისრაელისა; პაპი გრიგოლ მე-VII გილდერანდტი—მჭედლისა; იოანე გუსი—სოფლელის გლეხ-კაცისა; მარტინ ლიუტერი—მადნის-მთხრელისა; ჯორდანო ბრუნო—ჯარის-კაცისა; სტეფენსონი—რკინის-გზის მომგონი—მენახშირისა; ფულტონი—ცეცხლის გემის მომგონი—გლეხ-კაცისა; არკრაიტი—საქსოვის მაშინის მომგონი—თვითვე ღარიბი დალაქი იყო; უდიდესი უდიდესთა შორის ჩარლზ დარვინი იყო შვილი-შვილი მეჭურჭლესი.

**

გაზ. „Новор. Телегр.“-ი მოგვითხრობს შემდეგს ამბავს იალტის ცხოვრებიდამ:

ამას წინად ყარაული იალტისა გარშემო უვლიდა არე-მარეს და ერთ ალაგას მიაწყდა ხეზედ გამობმულს ორს ცხენს. ერთს ედგა ქალის უნაგირი და მეორეს—კაცისა. პატარა ხანს უკან ყარაულები ამ ცხენის პატრონებსაც წააწყდნენ. ორივეს ღრმა ძილით ეძინათ. „კავალერი“ ვიღაც იალტელი თათარი იყო და „დამა“-კი კარგის ოჯახის ქალი. ქალმა დიდი საჩუქარი მისცა ყარაულებს და უთხრა: გმადლობთ, რომ გამაღვიძეთ და უალაგო-ალაგას არ დამტოვეთო.

ამბობენ, რომ ქალს ისიც უთხოვნია ყარაულებისათვის: ნუ რა გრჯით-რა და ნურსად ნუ იტყვით, რომ მე აქა მნახეთო.

## რუსეთი

მრავალ ყმაწვილებს, რომლებსაც საშუალო სწავლა დაუსრულებიათ, სურვილი აქეთ შევიდნენ მაღალ სასწავლებლებში სწავლის დასამთავრებლად, მაგრამ ამ სასწავლებლებში მიღებული იქნება მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი მსურველთა; ამიტომაც მრავალნი აპირებენ თავის ნებით შესვლას სამხედრო სამსახურში; პეტერბურგის და პროვინციის ჯარების შტაბებში, როგორც ამბობენ, მრავალი თხოვნა შეუტანიათ მსურველთ.

— რადგანაც შემცირებულ იქნა ყმაწვილების მიღება გიმნაზიებში და გაუქმებულ იქნა მოსამზადებელი კლასები, ამიტომ მოსწავლენი თითქმის სულ ერთიანად მიაწყდნენ საქალაქო სასწავლებლებს. სარატოვის საქალაქო სასწავლებელში, მაგალითად, წელს ყოფილა 36 ვაკანსია, და შეტანილ იქნა 141 თხოვნა.

— დღემდის რუსეთში სულ ტყუილუბრალოდ იკარგებოდა სიგარის თავები. მოგეხსენებათ, რომ ისინი, ვინც სიგარებს ეწევიან, სიგარებს თავს წააგდებინებენ ხოლმე. აი ეს თავები, დღემდის სრულიად გამოუყენებელნი, ეხლა უნდა გამოიყენონ სამადლო საქმისათვის. პეტერბურგში განზრახვა აქეთ დაარსონ ისეთი ქველმოქმედი საზოგადოება, რომელსაც საგნად ექმნება ღარიბ მშობელთა ყმაწვილების ჩაცმა-დახურვა. ამ კეთილ საქმისათვის საზოგადოებამ უნდა ჰკრიფოს სიგარის თავები და ჰყიდოს. აქედამ შემოსული ფული უნდა მოახმარონ კეთილს საქმეს. ამ გვარი საზოგადოება უკვე მოქმედობს ბერლინში.

— მზის დაბნელების დროს პროფესორი მენდელეევი ჰაეროსტატით ავიდა მაღლა ჰაერში, რათა მზის დაბნელებისათვის თვალი ედევნებინა. როცა ჰაეროსტატი დაბლა დაეშვა, პროფესორს მენდელეევს კინაღამ უბედურება არ შეემთხვა. გამოჩნდა თუ არა ჰაეროსტატი სოფ. ოზერკოეში, გამოცვივდნენ გლეხ-კაცები თოფებით და დაუპირეს სროლა; უნდოდათ მოეკლათ ის „მხეცი“, რომელმაც, მათის აზრით, მზე დააბნელა. თუ რა იყო ჰაეროსტატი და შეიძლება თუ არა ჰაერში მოგზაურობა, გლეხებმა არ იცოდნენ. საბედნიეროდ, ჰაეროსტატი გასცილდა სოფ. ოზერკოეს და როცა სრულიად დაეშვა მიწაზე, ოთხიოდე კაცი მივარდა ჰაეროსტატს; უნდოდათ მისი დაგლეჯა და ძმურად განაწილება, მაგრამ ამ გვარის განზრახვისათვის იმათ თავი ამოაყოფინეს სატუსაღოში.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** „Новости“-ს სწერენ დეპეშით სტამბოლიდამ: აქ ამბობენ, რომ გერმანია თანახმაა ისე მოიქცეს ბოლგარიის საქმეში, როგორც ოსმალეთსა და რუსეთს უნდაო. ამ აზრით გერმანია სცდილობს დაითანხმოს ინგლისი, იტალია და ავსტრო-ვენგრია და ისე გადააწყვეტინოს ბოლგარიის საქმე, როგორც ორს ზემოხსენებულს სახელმწიფოს სწადიანთ.

— იმავე გაზეთს სწერენ დეპეშით სოფიიდამ: ახალი სამინისტრო სტამბულოვის მეთაურობით უკვე შესდგა. ეს

სამინისტრო განსაკუთრებით მეპრძოლეთა სამინისტროა. სტამბულელს უთქვამს, რომ თუ ვინ-ცობაა ბოლგარიის საქმეებში ჩაერიოს ვინმე; ბოლგარიის ერი იბრძოლებს იმის წინააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო.

— ვენგრიაში, როგორც იწერებიან ვენიდამ, გაუმართავთ ხელის-მოწერა ბოლგარიის „წითელის ჯვრის" საზოგადოების სასარგებლოდ. ამბობენ, რომ ამ ხელის-მოწერით სულ ცოტა ათი მილიონი გულდენი შეგროვდებაო.

— ერთს გერმანულ გაზეთს სწერენ კისინგენიდამ: მალე გამოჩნდება, რომ გერმანიას არ შეუცვლია პოლიტიკა ბოლგარიის შესახებ. ტყუილად აგრძელებენ ხმას, ვითომ გერმანია დღეს იმის მხარეს იჭერს, ვისაც აქამდე ეწინააღმდეგებოდაო.

— გაზეთები ამბობენ, რომ სოფიაში წავა მალე პრინც ფერდინანდის დედა, კლემენტინაო. კლემენტინა იყო მიზეზი, რომ ფერდინანდმა გაბედა და წავიდა ბოლგარიაში. კლემენტინას ჰქონდა მოლაპარაკება დიპლომატებთან თავის შვილის შესახებ. ამ დედაკაცის ყოფნა შვილთან სოფიაში სასარგებლო იქნება ბოლგარიის მთავრისათვის. კლემენტინა მტკიცე ხასიათის ქალია, პოლიტიკა ზედმიწევნით იცის და დიდი დიპლომატიც არის. გარდა იცის აგრეთვე უთვალავი სამეფო კარის ზნე-ჩვეულებანი. ასეთი დედაკაცი მალე გაუკვალავს გზას თავის შვილს ბოლგარიაში.

— „Journal des Débats"-ს ვენიდამ შემდეგი დეპეშა მისვლია: ფერდინანდი ძალიან იმედიანად არის. ბოლგარიის მეთაურებისათვის უთქვამს პრინცს, რომ მე სრული პატრონი და პატრონი ვარ ბოლგარიისაო. არავითარს ღონეს არ დავზოგავ და აღვადგენ-კი წესიერებას ბოლგარიაშიო. ბოლგარებს არ უნდა ეშინოდეთ არც ოსმალეთის ნოტებისა, არც ევროპის მუქარისა. მე მაგალითად მყავს რუმინიის დღევანდელი მეფე კაროლოსი გოგენცოლერნი. ამ კაროლოსმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია ევროპის დიპლომატიის წინააღმდეგობას. პრინცმა კაროლოსმა თავი არ დაანება რუმინიის სამეფო ტახტს და ბოლოს შეიქმნა კიდეც რუმინიის მეფე და რუსეთის მოკავშირეო.

ავსტრი-ვენგრია. ბერლინის ტრაქტატის ძალით, ოსმალეთს შეუძლიან ჩაერიოს ბოლგარიის საქმეში, როცა იქ წესიერება იქნება აღსადგენი. მაგრამ ასეთს უფლებას ეწინააღმდეგება ავსტრია: ოსმალეთის ჩარევა ბოლგარიის საქმეში დაარღვევს ავსტრიის ინტერესებსაო.

როგორც-კი გადავა ბოლგარიის სამზღვარს ოსმალეთის ჯარის-კაცი, ბოლგარიის მმართველნი მიჰმართავენ მაკედონიის ბოლგარელთაცაო. ბოსნია და ჰერცოგოვინა, რასაკვირველია, ავსტრიის წინააღმდეგ დაიწყობს მოქმედებასა და არა ოსმალეთის წინააღმდეგო.

ავსტრია ამბობს, რომ ასეთის უბედურების წინააღმდეგ ჩვენთვის, თუ მართლა თავს დაგვატყდა იგი უბედურება, ერთი ღონეა; ეს ის ღონეა, რომ ჩვენ მაშინვე, როცა ხონთქარი ჯარის გადაყვანას დააპირებს ბოლგარიაში, სალონიკი დავიჭიროთო.

# წვრილი ამბები

— ბერლინში ამ ახლო ხანებში უნდა დაარსებულ იქმნას ქალებისათვის სამკურნალო აკადემია.

— გაზ. „Figaro" სამართალში მიეცემული იმის გამო, რომ ადრევე გამოაქვეყნა: საფრანგეთის მთავრობამ უკვე ბრძანება გასცა, რომ ჯარი მობილიზაციის საცდელად საომარ ფეხზედ დაყენებისათვისაო.

— „Gazette France"-ში დაბეჭდილია საყურადღებო სტატისტიკური ცნობები იმის თაობაზედ, თუ წლით-წლობით როგორ მატულობს კაცის მკვლელობა. მაგალითებრ, 1878 წ. მთელს საფრანგეთში 615 კაცის-მკვლელობა მომხდარა; 1880 წ.—656; 1881 წ.—686. თვით პარიჟში უფრო უარესია. 1879 წ. 33 მკვლელობა მომხდარა, 1880 წ.—55. 1881 წ.—107; 1882 წ.—111, ე. ი. ოთხის წლის განმავლობაში მკვლელობას ერთი სამად უმატნია.

— გერმანიის გაზეთების სიტყვით, ბოლგარიის ჯარისათვის ბრძანება გაუცია, რომ სამხედრო წოდების კაცთა ტანისამოსზე ალექსანდრე ბატენბერგის ნიშნები გაუქმებულ იქმნასო. მხოლოდ მარტო ჯარის ერთის რაზმისათვის მიუციათ, რომ მხრებზე ამოქსოვილი ჰქონდეთ ასო „ა", ამ ჯარის რაზმისათვის, რომელსაც პრინც ალექსანდრე ბატენბერგის რაზმი ჰქვიან.

— შვეციისა და ნორვეგიის სამზღვარზედ გამოჩენილა სასწაულთ-მომქმედი ქალი. ეს ქალი ვითომც ბოლოცუსია და ლოცვითა და „წმიდა ზეთის" სხურებით ავადმყოფებს არჩენს, უსინათლოებს თვალ-სინათლეს ჰქმნის თურმე.

— ბერნის საპატიმროს უფროსისათვის სასამართლოს რვა თვითი ციხეში დაპატიმრება გადაუწყვეტია, რადგან ძალიან ავ-ზნედ და ცუდად ეპყრობოდა თურმე საპატიმროში დატუსაღებულ ქალებს.

— სტამბოლში გარდაცვლილა ერთი განთქმული 68 წლის დანიის პოეტი-ბელეტრისტი, მაირ ჰოლდშმიდტი. მაირის ნაწერებთა შორის ძალიან განთქმულია რომანი „En Iode"-ი (ებრაელი) და „Hjemles"-ო (ყარიბი) და სხ. მაიერი მეორმოცე წლებში სპოლიტიკო-სასურათო ჟურნალს „მეკობრეს" რედაქტორი იყო.

— 1888 წელს სწორედ ოთხასი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა ყველა თხზულებანი ჰომეროსისა. ეს პირველი გამოცემა დაიბეჭდა 1488 წელს ფლორენციაში ორ ნაწილად. ეს წიგნი მიძღვნილი იყო პეტრე მედიჩის, განთქმულის ლავრენტი მედიჩის შვილის მიმართ. ამ ოთხასის წლის დღეობას ჰომეროსის თხზულებათა დაბეჭდვისას, უეჭველია, მთელი ევროპა იდღესასწაულებს.

— ნიუ-იორკში უეცრად გარდაცვლილა ახალგაზდა და შეხედულებით სრულიად ჯან-საღი ყმაწვილ-კაცი. როცა გარდაცვლილის გვამი გაუჩხრიათ, უნახავთ, რომ ყმაწვილ-კაცს გული გაფუჩჩებული ჰქონია მეტის-მეტის თამბაქოს წევით. ამ ყმაწვილ-კაცის ნათესავებს უთქვამთ, რომ გარდაცვალებული სიცოცხლის დროს დღეში სამოცზე მეტს პაპიროზს ეწეოდაო.

— Point Pleasent-ში (დასავლეთ ვირგინიაში) ორნი ბიძაშვილნი, ამოს და ბრედლეი ტონზენდები დიდხანს ეტრფოდნენ ახალგაზდა ქალს, მისს ლედლეის. ორივენი აპირებდნენ ამ ქალის შერთვას. ქალსაც ორივ კარგ საქმროდ მიაჩნდა თურმე და არ იცოდა, რომელი ამოერჩია, რომელისათვის ეთქვა უარი. ბოლოს ბიძაშვილებმა გადასწყვიტეს, რომ წილი ვყაროთ და ვისაც ერგოს, იმან შეირთოს მისს ლედლეიო. წილი ერგება ბრედლეს და ახალგაზდა ქალიც დაითანხმებულა ბრედლეის ცოლობაზედ. საბრალო ამოსი მაშინვე გაიქცა, მოეპარა ყმაწვილს ქალსა და კაცს, რომელნიც ავანზე ისხდნენ. ქუჩაში ბნელოდა. უეცრივ გავარდა თურმე დამბაჩა, შიგ გულში მოხვდა მისს ლედლეის და თავის საქმროს წინ განუტევა სული. მკვლელი გაქცეულა.

— სანტ-როზაში, მექსიკაში, ცხოვრებს თურმე ვიღაც ჯემსი, ზანგი, რომელიც 1752 წელს დაბადებულა. თუ ეს მართალია, ზანგი ჯემსი ეხლა ას ოცდათხუთმეტის წლისა უნდა იყოს. ამ კაცს მეზობლები ინახავენ, რადგან ქალები აქვს და სიარული თავის-თავად აღარ შეუძლიან.

— ერთი ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორი იაპონიის მთავრობის ბრძანებით გაგზავნია და მიუნდვია, რომ ამოარჩიოს რომელი ლუდი უფრო საკვებია და მარგებელი იქნება იაპონელთათვისაო. ეს პროფესორი ჯერ მიუნჰენში მივა, მერე ვენასა, ბერლინსა, ამდგან კოპენჰაგენში წავა და შემდეგ ინგლისში. ინგლისის გაზეთები ეხლავე ჰბეჭდავენ ამის გამო მეთაურს წერილებს და თავისთ ელს (ლუდს) აქებენ. სხვათა შორის იმითი ამტკიცებენ თავისთ ლუდის უკეთესობას, რომ ბლინიოსი აქვს, მარა სტუტრტს და სხვათ უუვარდესთ.

— ამას წინად ბირმინგამში შემდეგი ამბავი მომხდარა. ერთი პოლიციის ჩუმაშემიპყრობელი მისულა ერთს დასაპატიმრებელ კაცის სახლში და ზარები ჩამოუჩხარუნავს. დამნაშავის მეუღლე გამოსულა და უნახავს თუ არა პოლიციის მოხელე, ისე შეშინებია, რომ იქვე გულ-შემოყრილი დაცემულა და სული განუტევებია.

## გასართობი

საზოგადოდ, ამერიკელნი ახირებულნი ხალხნი არიან და ბევრი უცნაური რამეცა სჭირთ. ყოველივე შეუძლებელი ამერიკელთ მოეჭკიანებოთ; სად რა მოიგონონ, რომ მაშინვე კაცს ამერიკელი არ მოუვიდეს ფიქრში: ამერიკელთა ხრიკი, ამერიკელთა ეშმაკობა იქმნებაო. ძნელად იპოვნით სადმე ისეთს ალაგს, რომ ათიოდე კაცს მოეყაროს ერთად თავი, ცხოვრობდნენ მშვიდად, ტკბილად, ერთმანერთის დამცირებასა და ფეხქვეშ გაქელვას არა სცდილობდნენ, მაგრამ ამერიკაში ესეც შესაძლებელი ყოფილა. ერთს მგზავრს უვლია ამერიკაში, უნახავს ერთი საკვირველი სოფელი და აუწერია ნიუ-იორკის გაზეთებში. აი ზოგიერთი ცნობები ამ სოფელზე ჩვენთა სოფლებთა საყურადღებოდ და საგულისხმოდ. ამ სოფელს ვიორლე ჰქვიან და კანზასის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. ამ სოფელში სულ 1,000 სული სცხოვრებს. სოფელი დამოუკიდებლად არსებობს და თვითონვე აქვს დაწესებული სამოქალაქო, სასულიერო და სასამართლო კანონები. უცხო ქვეყნელს ნებას არ აძლევენ ამ სოფელში ცხოვრებისას. ეს სოფელი დაარსებულია 1868 წელს. პატარა აგურის სახლებია აშენებული; არც იატაკი აქვს ფიცრისა ამ სახლებს და არც ავეჯი. დედამიწაზედ ტყავები აქვთ გაშლილი და იმაზედა სხდებიან. წესად აქვთ ამ სოფლის მცხოვრებელთ, რომ არაფერი გაყიდონ და არაფერი იყიდონ ხოლმე. სოფელში თორმეტი კაცია მეთაურად ამორჩეული, რომელთაც „კეთილ-გონიერებს" ეძახიან. ეს ამორჩეულნი კაცნი განაგებენ მთელს სოფელს. ამ სოფლის ყველა მცხოვრებელნი ვალდებულნი არიან ადრიან დილიდგან იმუშაონ შუა-ღამემდე. თუ ვინმე დაზანტდება და მუშაობას თავს დაანებებს, „კეთილ-გონიერნი" მაშინვე ბრძანებას გამოსცემენ და ამუშავებენ ძალათი. „კეთილ-გონიერნი" შეუცვლელნი არიან; თუ ერთი რომელიმე გარდაიცვალა ამათში, მაშინვე სხვას ირჩევენ იმის მოადგილედ. თუ მცხოვრებელთა შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდა, „კეთილ-გონიერთ" უნდა გადასწყვიტონ ეს საქმე. ნამუშავარი ერთადა აქვთ. ცოლ-ქმრობა არ არსებობს ამ სოფელში, ყველანი ერთად, თანასწორად ცხოვრობენ. ძნელად თუ ვინმეს მცხოვრებელთა შორის რაიმე უთანხმოება ჩამოვარდეს, რადგან ყველანი მშვიდად, თანხმობით და ტკბილად არიან თურმე ერთმანერთთან.

**

მხოლოდ ერთად-ერთს პატტისა აქვს მთელს დედამიწის ზურგზედ საკვირველი მარაო, რომელზედაც ევროპის ყველა მეფეთ საკუთარის ხელით რამდენ-რამდენიმე სიტყვაა დაწერილი. აი ზოგიერთი წარწერანი:

გარდაცვალებული იმპერატორი ალექსანდრე II სწერს: „ისე არა ამშვიდებს-რა ადამიანს, როგორც თქვენის ხმის მოსმენა".

გერმანიის იმპერატორი: „ყველა დროის ბულბული".

დედოფალი ქრისტინა: „ისპანიელს ქალს; დედოფალი ამაყობს იმით, რომ თქვენ იმის ქვეშევრდომთა შორის ირიცხებით.

დედოფალი ვიქტორია: „თუ კოროლიდარი მართალს ამბობს, რომ სასიამოვნო ხმა ძვირფასი განძია ქალისათვისაო, თქვენ, ჩემო საყვარელო ადელინა, ყველაზედ მდიდარი ქალი ყოფილხართ ამ ქვეყნად".

ავსტრიის იმპერატორს და რუმინიის დედოფალს მხოლოდ თავიანთი სახელები დაუწერიათ. ბელგიის დედოფალს დაუწერია: Il Baccio". შუა ფურცელზედ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტიერის ხელით შემდეგი სიტყვებია დაწერილი: „მოგიძღვნი სალამს მეფეს სიმღერისას".

**

განთქმული საფრანგეთის მწერალი პონსონ-დიუ-ტერრაილი ამ რამდენისამე წლის წინად „Patrie"-ში ჰბეჭდავდა რომანს, რომელშიაც დიდ-ძალი ავაზაკობანი და თვალ-მკვლელობანი იყო აწერილი. ერთი პარიჟის გაზეთი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს. პონსონ-დიუ-ტერრაილმა ხელ-ნაწერი, რომანის შემდეგი დაუგვიანა თურმე „Patrie"-ს რედაქციას. რედაქტორმა მოაგონა ავტორს ხელ-ნაწერის დაგვიანება და პონსონ-დიუ-ტერრაილმა შემდეგის შინაარსის დეპეშა მისწერა პასუხად:

— საყვარელო მეგობარო! ჩემის რომანის ერთის მომქმედ პირის სიკვდილით ისე ვარ დანაღვლიანებული და შეწუხებული, რომ მუშაობა სრულიად არ შემიძლიან; ამიტომ გთხოვ ერთი კვირა დამაცადო სამგლოვიაროდ.

# დეპეშა

28 აგვისტო

პეტერბურგი. სამხედრო საბჭოს დაუდგენია: 1) იმ ათფიცრებს, რომლებსაც ორჯელ დაუჭერიათ ეგზამენები აკადემიაში შესასვლელად, გეოდეზიურს განყოფილებაზე, და რომლებიც ვაკანსიების უქონლობისა გამო მიღებულ არ იქმნენ, შეუძლიანთ მესამედ დაიჭირონ ეგზამენები საოლქო შტაბებში, მაგრამ გზის ხარჯი არ მიეცემათ და საეგზამენოდ მზადების დროს სამსახურისაგან განთავისუფლებულნი არ იქმნებიან; 2) ის ათფიცრები, რომელნიც პეტერბურგს მოვლენ ირკუტსკის, ომსკის, ამურის, და თურქესტანის ოლქებიდამ საეგზამენოდ გეოდეზიურს განყოფილებაზე შესასვლელად და საკმაო ცოდნას ვერ გამოიჩენენ, მეორედ არ გამოგზავნონ პეტერბურგს გამოსაცდელად, თუ რომ იმავე ოლქებში განაგრძობენ სამსახურს.

29 აგვისტო

სოფია. შიშიანობის წესნი ბოლგარიასა და აღმოსავლეთს რუმელიაში გაუქმებულ იქმნა.

ლონდონი. მიჩელ-სტოუნს, ირლანდიაში, გუშინდელს კრებაზე, რომელიც იმიტომ იქმნა მოწოდებული, რომ წინააღმდეგობა გამოეცხადებინა ირლანდიის დეპუტატის ობრიენის დაპატიმრების გამო, კრების დროს უწესოება მოხდა: დაიჭრა მძიმედ რამდენიმე პოლიციელი და ორი კაცი მოკლულ იქმნა.

პარიჟი. სტამბოლიდამ გვაუწყებენ შემდეგს დაწვრილებულს ამბებს იმ მოლაპარაკებაზედ, რომელიც გამართულია ბოლგარიის საქმის გამო: პორტამ პირი უკითხა გერმანიასა და საფრანგეთს კომისარების გაგზავნის თაობაზე ბოლგარიაში; ორივე დიდმა სახელმწიფომ პასუხად შეუთვალეს, რომ ჩვენ საწინააღმდეგო არა გვაქვს-რა მაგ წინადადების თაობაზეო. მაშინ ოსმალეთმა მიჰმართა გერმანიას და სთხოვა, რომ დაითანხმე ავსტრი-ვენგრია და იტალიაცა ამ წინადადებაზეო. გერმანიამ შეუთვალა ახლა, რომ მზადა ვარ მაგ წინადადებათა მხარი დავიჭიროო, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ამ საქმის თაოსნობა ოსმალეთისა უნდა იყოსო. ამ სახით ბერლინის კაბინეტი ელის მხოლოდ თაოსნობას ბოლგარიის მთავრედის სახელმწიფოსაგან და შემდეგ მხნედ გამოესარჩლება თვითონ ზემოხსენებულს წინადადებას.

რუშჩუკი. აქაურმა პრეფექტმა არ შეასრულა თხოვნა საფრანგეთისა იმის თაობაზე, რომ ფრანგები რუშჩუკში უზრუნველად და უშიშრად იმყოფებოდნენო. თვით ელჩის საფრანგეთისას განსაცდელი მოელოდა. ამის გამო საფრანგეთის მთავრობამ ნება მისცა ელჩს და ეს უკანასკნელიც უვადოდ დაეთხოვა სამსახურს.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრი დაბრუნდა პეტერბურგს

ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს, რომ სამერმისო შემოსავალ-გასავლის სიაში ჩაურთოს ის შემოსავალიც, რომელიც ახლად უნდათ შემოიღონ და რომელიც უნდა გააწერონ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა.

როგორც ისმის, საცდელად უნდათ შემოიღონ და ხუთს გუბერნიაში ჰყიდონ არაყი სახელმწიფო მოხელეებმა. ამ საგნის თაობაზე შედგენილს პროექტს სახელმწიფო საბჭო მოისმენს შემოდგომის დამდეგს.

სევასტოპოლი. გუშინ-ღამ დაიწვა ხის შენობა „რუსეთის სანავოსნო საზოგადოებისა". ამ შენობაში საქონელი იყო დაწყობილი.

30 აგვისტო

პეტერბურგი. დღეს იმის გამო, რომ წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენისა და ხელმწიფე იმპერატორის სახელ-წოდების დღესასწაულია, ალექსანდრე ნევის ლავრაში, ლიტანიის შემდეგ, გადახდილ იქმნა წირვა მის უდიდებულესობის სახლობისა, კარის-კაცებისა და სამოქალაქო და სამხედრო მთავრობის თანადასწრებით. ქალაქი ბაირაღებით მორთულია. ცარიცინის მოედანზე გამართულია სახალხო სეირნობა.

ხელმწიფე იმპერატორმა უბოძა ორდენები: თეთრის არწივისა თვის უდიდებულესობის წყალობის წერილითურთ — სენატორს იაგორ

გაზენვინკელს; წმ. ალექსანდრე ნეველისა—წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის პროფესორს კარავაევს; წმ. ვლადიმირის ორდენი, მეორე ხარისხისა—შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს, თავადს გაგარინს და მწერლობის მთავარ-გამგეობის უფროსს ფეოქტისტოვს; წმ. ანნასი, პირველის ხარისხისა—თავად-აზნაურობის სამაზრო წინამძღოლთ: ბელსკის მაზრისას—დოლგოვ-საბუროვს, პავლოგრადისას—პისმენის და მცირე-არხანგელსკისას—ველიამინოვ-ზერნოვს; წმ. სტანისლავისა, პირველის ხარისხისა—ქ. ტაგანროგის უფროსს ვოგაკს, ვიატკის გუბერნატორს ანისინს, კამერგერებს, რომელნიც ითვლებიან შინაგან საქმეთა სამინისტროში, გრაფს ნიროდს და კრივოშეინს, ვიცე-დირექტორს კავკასიის მთავარ-მართებელის კანცელარიისას—როგგეს, პერმის ვიცე-გუბერნატორს ბოგდანოვიჩს, მინსკის საგლეხ-კაცო საქმეების გამგეთა კრებულის წევრს—პესტოვს; სამაზრო თავად-აზნაურობის წინამძღოლთ: ჩერნიგოვისას—პოსუდევსკის, ლებედინსკისას—გრაფს კაპნისტს, რიაზანის საგუბერნიო მმართველობის სამკურნალო განყოფილების ინსპექტორს—ნორშინს, შინაგან საქმეთა მინისტრს საგანგებო მინდობილებათა მოხელეს—ზუევს, სიმფეროპოლის ქალაქის თავს—ივანოვს და ქ. ვარშავის საქველ-მოქმედო დაწესებულებათა უფროსს—პუხალსკის. ხარკოვის გუბერნატორმა პეტროვმა ტაინი სოვეტნიკობა მიიღო.

31 აგვისტო

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრი, რომელიც დროებით დათხოვნილი იყო, ისევ დაბრუნდა.

პირველის ენკენისთთვიდამ მოკულებული ვოლგო-კამის ბანკი გასცემს სესხს იმ პურის გირაოზე, რომელიც ოდესაში გაიგზავნება.

პარიჟი. „Journal des Debats"-ს სწერენ ბუქარესტიდამ, რომ სტამბულოვმა ბრძანება გასცა და დაატუსაღებინა როდოსლავოვი, რომელსაც სწამებს სახელმწიფო ღალატს; აგრეთვე დაატუსაღეს რამდენიმე ბოლგარელი ოფიცრები ვითომ სამხედრო შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისათვის; როგორც ამბობენ, ეგ შეთქმულება შეუთხზავს თვით პოლიციას, რათა სტამბულოვს ასიამოვნოს.

პეტერბურგის ბირჟა, 28-ს აგვისტოს
ფასები:

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გაყიდულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 19 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178 |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 31 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . . | 275 | — › | — › |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 256 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა . . | 99¼ | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 99¼ | — › | — › |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 83¼ | | |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

სექტემბერი 30 დღით არის.

**1 დღე ხამშაბათი.** ღირსისა სვიმეონ მესვეტისა და იმის დედისა მართასი. კათ. გედეონისა და სამსონისა. სომეხ. იეზეკიელისა, ეზრასი და ზაქარიასი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—37, ჩადის 6—14. მთვარე 26 დღისაა.

**2 დღე ოთხშაბათი.** მოწ. მამანტესი და თეოდორესი. კათოლ. სტეფანესი და ფილადელფიისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—36, ჩადის 6—12. მთვარე 27 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი
**ნიხრი**

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | › |
| › 2 › | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი . . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 7 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავიანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აქვე რომ ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


კერძო განცხადებანი

ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ტფილისის საქალაქო გამგეობა სთხოვს ტრაქტირებისა, საჭმელ სასმელის დუქნებისა და მგზავრთა დასაბინავებელის სადგურების პატრონებს მობრძანდნენ გამგეობის კანცელარიაში, ქალაქ ტფილისში, სექტემბრის 6-ს, დილის 10 საათზე. შემდეგის ოთხის წლისათვის უნდა მოწვეულთ ამოირჩიონ დეპუტატები თანხმად 22 და 56 მუხლთა სავაჭრო დაწესებულებათა დებულებისა, გასანაწილებლად ორთა შუა რაოდენობის აქციზისა. (3—1)

ექიმის სახლობას

სურს აიყვანოს იაფ ფასად ერთი მოსწავლე ყმაწვილი; მოსწავლეს ასმევ-აჭმევენ და თვალ-ყურს დაიჭერენ. მოლაპარაკება ამ საქმის თაობაზე შეიძლება **საექიმო და საგიმნასტიკო სახლში**, რომელიც აქვს გამართული **მედიცინის დოქტორს ფრანცოუსს.** სოლოლაკი, ამაღლების ქუჩის კუთხე, სახლი ტერ-ყაზაროვისა. (5—4)

ისყიდება

დუშეთის მაზრის სოფელ მჭადიჯვარში: მველი ღვინო, სორბალი, ქერი, თივა, ბზე და ღორი. (10—9)

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: ტფილისში ჩარკვიანთან, სემენარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე; გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდის ყურთან, და ქუთაისში ჰილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემლისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასაგზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა. | › | 1 |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოხსუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული, ჯუღელის რედაქციით. | › | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა . . . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . . | 1 | › |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . . . | › | 30 |

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა
I მჭრევაზე
II დიდ ზალში
ფასი ორი შაური.

ТИПОГРАФІЯ
„КАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"
(Н. И. ФРЕНКЕЛЬ)

Переведена на Головинскій Проспектъ, противъ Аптеки Гене, въ д. **Шабурова.** Принимаетъ всевозможныя типографскія работы на русскомъ, туземныхъ и иностранныхъ языкахъ. Исполненіе скорое и аккуратное. Цѣны умѣренныя.


Доз. цен. Тиф. 30 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე